პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

31 ოქტომბერი შაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 255 (14859)

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ ინტერნაციონალურ მოძღვრებას, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ყველა ქვეყნის მშრომელთა გრძოლის დროშას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

პარტიული პროპაგანდისტი

მეცადინეობა დანიშნულ დროზე დაიწყო. დარბაზში იხდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის მსმენელნი — ინჟინრები, ტექნიკოსები, რომლებიც ძირითადად წყვეტენ „საქსოფლტექნიკის“ თელავის განყოფილების მუშაობის ბედს. პირველი მეცადინეობა ნაყოფიერი გამოდგა. პროპაგანდისტმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ინჟინერმა ლევან ხაჩიშვილმა ისაუბრა თემაზე: „ლენინიზმი კომუნისტური მშენებლობის დროშა“. პროპაგანდისტმა საუბარი მჭიდროდ დაუკავშირა ცხოვრებას, პრაქტიკას. აქტიურობდნენ მსმენელები ი. ნებურიშვილი, კ. ბელენკი, გ. ბლუაშვილი, მ. ზურაბაული. — ასეთი წერილი მოვიდა ამას წინათ „კომუნისტის“ რედაქციაში.

და ასე, კომუნისტი პროპაგანდისტები, რომლებიც პარტიული განათლების სისტემაში მუშაობენ, ორგანიზებულად შეუდგნენ მეცადინეობას მთელ რესპუბლიკაში. ეს ჩვენი პარტიის ყველაზე მომზადებული და თეორიულად განათლებული კადრებია. პროპაგანდისტები ადამიანებს განუმარტავენ ლენინური პარტიის იდეებს, დაუღალავად ეწევიან მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პროპაგანდას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 27 ოქტომბერს გაიმართა, განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება „საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაძლიერების საქმეში“. პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახლა სალექციო პროპაგანდის შინაარსს, მის მიმართულებას უნდა განსაზღვრავდეს პარტიის XXIV ყრილობისა და საქართველოს სს რესპუბლიკის იუბილესათვის მზადება, როგორც პროპაგანდისტულ, ისე მთელს ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობაში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ახლა პარტიის XXIV ყრილობისათვის, რესპუბლიკის იუბილესათვის მზადების დღეებში ეს წესად უნდა გადაიქცეს: თვითეული ხელმძღვანელი, თვითეული პასუხისმგებელი მუშაკი უნდა კითხულობდეს ლექციებს, პოლიტიკურ მოხსენებებს, ესაუბრებოდეს მუშებს, კოლმეურნეებს, მოწყალე ახალგაზრდობას. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ აღმზრდელობითი მუშაობის წარმატებას განსაზღვრავს ხელმძღვანელ მუშაკთა ყოველდღიური და აქტიური მონაწილეობა ამ მუშაობაში.

პლენუმზე ავრეთვე ხაზგასმით თქვა, რომ პარტიული განათლების სისტემაში დაწყებული ახალი სასწავლო წელი ახალი ეტაპი უნდა გახდეს მარქსისტულ-ლენინური განათლების დონისა და ეფექტურობის ამაღლებაში, პარტიის ისტორიის, თეორიისა და პოლიტიკის ღრმად შესწავლაში, რაც მჭიდროდ უნდა დაუკავშიროთ კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ამოცანებს.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიის XXIII ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში თვალსაჩინოდ გააუმჯობესეს პროპაგანდისტთა შერჩევისა და მომზადების საქმე. ახლა თითქმის ყველა პროპაგანდისტს აქვს უმაღლესი განათლება, დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვეს პროპაგანდისტებმა, რომლებიც წარმატებით ასრულებენ პარტიის დიდმნიშვნელოვან დავალებას. მათ შორის არიან მ. რევაზიშვილი, ტ. ხმელიძე, ბ. ყურაშვილი (ქ. თბილისი), ი. ვაჩაძე, დ. მანდარია (ქუთაისი), გ. ოდილავაძე, ი. ჩხარტიშვილი (აჭარის ასსრ), ვ. ტენტერიშვილი (დუშეთი), ე. ოფციაური (თელავი), მ. მგელაძე (მახარაძე).

პოლიტიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დროს პარტიულმა ორგანიზაციებმა ყურადღებით შეარჩიეს და მოამზადეს პოლიტსკოლების, თეორიული სემინარების პროპაგანდისტები და ხელმძღვანელები. მათ ცოდნის დონე იიმალლეს კურსებზე, სემინარებზე, მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში მეცადინეობით. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა სახლმა გამართა და მოაწყო 15 რესპუბლიკური მნიშვნელობის პროპაგანდისტთა კურსები და სემინარები. გარდა ამისა, ქ. თბილისის პროპაგანდისტებისათვის (4.875 პროპაგანდისტი) შექმნილია 14 სხვადასხვა სახის სემინარი და ლექტორიუმი.

პროპაგანდისტთა ცოდნის შევსება მუდმივი პროცესია. მათი სწავლების ნაკადი ფორმებია: სხვადასხვა სახის კურსები, სემინარები, მეთოდური კონფერენციები, ლექტორიუმები, კონსულტაციები, აგრეთვე „პროპაგანდისტთა რადიოსკოლა“, რომელსაც ქ. ქუთაისში წარმატებით იყენებენ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იდეური აღზრდის ლენინური მეთოდების დაუფლებისა და პროპაგანდისტთა ოსტატობის ამაღლების საქმეს დიდი გაქანება მიეცა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების დროს. ახლა მთავარია განვამტკიცებდეთ ამ გამოცდილებას და პროპაგანდისტებს ვეხმარებოდეთ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

ამჟამად პარტიული განათლების სისტემაში ბევრი სიახლეა. დაწყებითს რგოლში შეიისწავლიან ახალ საგანს „ეკონომიური ცოდნის საფუძვლებს“, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებში — „მეცნიერული კომუნიზმის აქტუალურ საკითხებს“, პარტსტორიის შემსწავლელ ორწლიან სკოლებსა და ზოგ თეორიულ სემინარში — საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიას. შესწავლა ჩვენი პარტიის გმირული ისტორიისა, რომელიც მდიდარია იდეური აღზრდის მძლავრი საშუალებებით, მარქსისტულ-ლენინური განათლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. დღევანდელობა, კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები გადაუდებელ მოთხოვნებს უყენებს კომუნისტთა თეორიულ სწავლებას, პარტიულ ორგანიზაციებს.

პროპაგანდისტი მუდამ უნდა მდიდრდებოდეს რევოლუციური თეორიის ცოდნით, იძენდეს ცხოვრების მოვლენების ანალიზის პრაქტიკული გამოცდილების ჩვევებს, სრულყოფდეს შესასწავლი მასალის გადაცემის მეთოდს. აქ უნდა გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის რჩევა: „ვილაპარაკოთ ისე, რომ მოგვისმინონ და გაგვიგონ მილიონებმა, სულ მარტივად, თვალსაჩინოდ და მართლაც დამაჯერებლად განვუმარტოთ სოციალიზმის ძირითადი ჭეშმარიტებანი. უნდა შეგვეძლოს ულათიანებგოდ, უბრალოდ, ფაქტებითა და ციფრებით განვმარტოთ... საკითხები“.

უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ პროპაგანდისტი როგორც ცენტრალური ფიგურა, მასწავლებელიც არის და აღმზრდელიც. აქედან გამომდინარეობს ამოცანა — ვზარდოთ, ვასწავლოთ, იდეურად გამოვაწრთოთ ისინი. პროპაგანდისტულ მუშაობაში უნდა გვყავდნენ ნოვატორები, რომლებიც უკუაგდებენ სწავლების მოძველებულ ხერხებსა და მეთოდებს, გაბედულად დანერგავენ ახალსა და პროგრესულს. პარტიული ორგანიზაციები უნდა სწავლობდნენ, განაზოგადებდნენ და პრაქტიკაში ნერგავდნენ ნოვატორ პროპაგანდისტთა დადებითს გამოცდილებას. ამ მხრივ საყურადღებოა პარტიის ლენინის რაიკომის ნაბიჯები. აქ ბიჯითად არკვევენ პროპაგანდისტთა მომზადების დონეს, გამოცდილებას, სპეციალიზაციას, მეთოდურ დახელოვნებას. 26 კომისრის რაიონში დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტორგანიზაცია პროპაგანდისტთა სწავლების ჩინებულ ორგანიზაციასთან ერთად ახალხებს და ჯეროვნად აფასებს პროპაგანდისტთა საქმიანობას.

მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ცალკეული პროპაგანდისტები ანალიზს ვერ უკეთებენ აქტუალურ პრობლემებს, ვერ იყენებენ მეცადინეობის აქტიურ ფორმებს და განყენებულად გადასცემენ შესასწავლ მასალას. ეს საგრძნობწილად აიხსნება იმითაც, რომ ზოგჯერ პროპაგანდისტთა მეთოდური კონფერენციები, კურსები, სემინარები, კონსულტაციები ხასიათდება გაუბრალოებით და ვერ უპასუხებს პროპაგანდისტთა ინტერესებს. ეს ნაკლი რომ დავძლიოთ, სემინარები უნდა გადავაქციოთ პროპაგანდისტთა სწავლისა და ოსტატობის ამაღლების ნამდვილ სკოლად.

რესპუბლიკაში არის პოლიტიკური განათლების ხასლებისა და კაბინეტების ფართო ქსელი. ისინი კვლავ უნდა შეიავსოს მსმენელებისა და პროპაგანდისტებისათვის საჭირო მასალებით: გრაფიკანაწერთა კომპლექტებით, ფილმებით, გაზეთებისა და ჟურნალების კარტოთეკით, ციფრებითა და ფაქტებით ეკონომიკისა და კულტურის, ადგილობრივი ცხოვრების სიახლეთა შესახებ. ამოცანა ის არის, რომ პოლიტიკური განათლების კაბინეტები და ხასლები გახდნენ პარტიული პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრები, პროპაგანდისტთა მუდმივი მრჩეველები, რომლებიც ქმედითად დაეხმარებიან პროპაგანდისტებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრისა და 1970 წლის ივლისის პლენუმებმა მოითხოვეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების, მეცნიერულ-ტექნიკური პროცესის დაჩქარების, მართვისა და დაგეგმვის მეთოდების სრულყოფა. ამ ამოცანების განსახორციელებლად უნდა გავუმჯობესოთ კომუნისტებისა და უპარტიოების ეკონომიური სწავლება. მის მუშაობაში კვლავაც უნდა ჩავაბათ ხაუკეთესო ეკონომისტები, ინჟინრები, სამეურნეო ხელმძღვანელები.

პარტიული ორგანიზაციები მხოლოდ მაშინ უზრუნველყოფენ კონკრეტულ პრაქტიკასთან დაკავშირებულ ეკონომიურ სწავლებას, თუ პროპაგანდისტებს ხელი ეშენებათ ხაწარმოს, კოლმეურნეობის, რაიონის ეკონომიური მდგომარეობის ფაქტიური მონაცემების კვალიფიციური ანალიზი და სწორად გამოიყენებენ მას.

პარტიული განათლების მთელ ქსელში პირველი მეცადინეობა მიეძღვნა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს“ — შესწავლას. ადგას რა ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას,—ნათქვამია ამ მოხსენებაში,—პარტია იბრძვის, რომ ყველა კომუნისტმა შეგნებულად აითვისოს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები, რომ მათი იდეურობა გამოხატულებას პოულობდეს კომუნისტური მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში პრაქტიკული მონაწილეობით.

ძნელი, მაგრამ საპატიო და კეთილშობილური პროპაგანდისტის შრომა. პარტიის ცენტრალური კომიტეტი მუდამ მოითხოვს, რომ პროპაგანდისტები უზრუნველყოფდნენ საჭირო პირობებით. არ შეიძლება მოვწყვიტოთ პროპაგანდისტები ამ მეტად პასუხსაგებ დავალებას და დაეტვირთოთ ისინი სხვა საზოგადოებრივი საქმეებით, — წერდა ამას წინათ გაზეთი „პრავდა“.—მათი ყურადღება უნდა მივაპყროთ მთავარს — ღრმად დეიუფლონ პარტიული პროპაგანდის ოსტატობას, ახსავლონ რევოლუციური თეორიის შემოქმედებითი დაუფლება, იბრძოლონ მისი დებულებების ნათელი გაგებისა და სწორი გამოყენებისათვის — აი პარტიული პროპაგანდისტის მაღალი მოწოდება.

საოქტომბრო ვასტფე



800 ტონა ფოლადი გეგმის ზევით

უკვე მეოთხედი საუკუნეა დგას ფოლადსადნობ ღუმელთან. პროფესიაც მეტად მძიმე აქვს, — იგი მეფოლადეა. მუშაობა შეგირდად დაიწყო და ბოლოს გახდა საუკეთესო მეტალურგი, მიეწია სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მეფოლადე ამირან ფანცულაიას სახელს დიდი პატივისცემით წარმოთქვამს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთელი კოლექტივი. მან მეფოლადეებთან ი. ტაბატაძესთან, გ. ბერიკაშვილთან, ზ. უაკელაშვილთან და სხვებთან ერთად მოგვცა რუსთავის ფოლადის პირველი ნადნობები. ძნელი იყო მაშინ მუშაობა — აკლდათ გამოცდილება, ცოდნა. ახლა კი თვითონ ასწავლის სხვებს რთულ და საპატიო პროფესიას. რამდენი ფოლადი გამოუდ ნია ამირანს 25 წლის მანძილზე!

მისი გამოდნობილი ფოლადი ხმარდება ელმავლების დამზადებასა და სახლების მშენებლობას, ჩარხების აწყობასა და მილების გაგლინვას.

განსაკუთრებით წარმატებით მუშაობს წელს სახელგანთქმული მეფოლადე. 800 ტონა ფოლადი გეგმის გადამეტებით — ასეთია მისი შრომის შედეგი მიმდინარე წლის ათ თვეში.

ტექსტი და ფოტო ვლ. გინზბურგისა.

კონსერვები დავალების გადამეტებით

„საქკონსერვტრესტის“ საწარმოთა კოლექტივებმა, გაშალეს რა შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, 26 ოქტომბერს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და კონსერვების გამოშვების ათი თვის გეგმა. ამ ხნის განმავლობაში გამოშვებულია 142.227 ათასი პირობითი ქილა კონსერვი, 3.600 ათასი ქილით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. რეალიზებულია 45.991 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც დავალებას 967 ათასი მანეთით აღემატება.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბორის, ლაგოდეხის, ახმეტის, მაიაკოვსკის, ადიგენის, მცხეთის საკონსერვო ქარხნების კოლექტივებმა. ფხვნილი შაქრის გამოშვებაში წარმატება მოიპოვა საქართველოს შაქრის კომბინატის კოლექტივმა.

საკონსერვო ქარხნებმა იკისრეს ვალდებულება ოქტომბერში კიდევ გამოუშვან ექვსი მილიონი პირობითი ქილა კონსერვი. გადაწყვეტილია 20 დეკემბრისათვის გაანადღდონ 1970 წლისათვის ნაკისრი ვალდებულებანი. (საქდესი).

ორჯონიკიძელ მევენახეთა წარმატება

გაანაღეს რა შეჯიბრება პარტიის XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ორჯონიკიძის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ყურძნის კარგი მოსავალი მოიწიეს, ორგანიზებულად მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 5.600 ტონა ყურძენი, რაც 200 ტონით აღემატება გეგმას.

ყურძნის წარმოებასა და დამზადებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სოფელ კიცხის, ოგორეთის, ლაშეს, ბაზალეთის, ბორითის, უბისის, ნებოძირის კოლმეურნეობებმა.

(საქდესი).

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ულიანოვსკში

ულიანოვსკი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელიც აქ იმყოფება მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცედენბალის მეთაურობით, დღეს ეცნობოდა ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ქალაქის სამახსოვრო ადგილებს.

სპპატიო სტუმარი და მისი თანმხლები პირნი იყვნენ ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმში, სადაც 1878 წლიდან ცხოვრობდა ულიანოვების ოჯახი. ი. ცედენბალმა სპპატიო დამთვალიერებელთა წიგნში დატოვა ჩანაწერი, რომელშიც მადლობა გადაუხადა ქალაქის მცხოვრებლებს ძვირფასი ლენინური რელიკვიების გულდასმით დაცვისათვის.

შემდეგ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ დათვალიერა ლენინის სურათების გალერია, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გაიხსნა.

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მონღოლმა სტუმრებმა ყვავილები მიიტანეს ვ. ი. ლენინის ძეგლის კვარცხლბეკთან.

მოძმე ქვეყნის წარმომადგენლებს გულთბილად შეხვედნენ № 1 საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომელშიც ვალოდია ულიანოვი სწავლობდა.

შემდეგ მონღოლეს სტუმრებმა დათვალიერეს ლენინის მემორიალის შენობა.

ნ. ვ. პოდგორნი მოსკოვში დაბრუნდა

29 ოქტომბერს მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც მისი უდიდებულესობის ირანის შაჰინშაჰის მოპატიჟებით რეზა ფეხლევის მიწვევით მონაწილეობდა ტრანსირანის გაზსადენის ოფიციალურ გახსნაში. ეს გაზსადენი საბჭოთა კავშირის ტექნიკურ-ეკონომიური ხელშეწყობით აშენდა. (საკდესი).

პირველი შეხვედრები, საუბრები

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაცია სახალხო პალატის თავმჯდომარის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ჰერალდ გერტნერის მეთაურობით 29 ოქტომბერს კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეებს ა. პ. შიტიკოვსა და ი. ხ. ნასრიდინოვს.

შეხვედრის დროს გაიმართა გულითადი მეგობრული საუბარი. დელეგაციის წევრთა სახელით ჰ. გერტნერმა მადლობა გადაიხადა საბჭოეთში გულთბილი მიღებისათვის. მან აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტართა ვიზიტი სსრ კავშირში ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის საკანონმდებლო ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას, ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებას. (საკდესი).

შეხვედრა ლუბლიანელ სტუმრებთან

ქალაქ ლუბლიანის წარმომადგენლები, რომლებიც სტუმრად იმყოფებიან საქართველოს დედაქალაქში, 29 ოქტომბერს შეხვდნენ თბილისის ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ მუშაკებს. შეხვედრაზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი ო. ლოლაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი.

შეხვედრა გახსნა ო. ლოლაშვილმა, რომელმაც აღნიშნა გამოთქვა, რომ სლოვენიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქის დელეგაციის ჩამოსვლა დასაბამს მისცემს თბილისისა და ლუბლიანის მშრომელთა მეგობრობას. ეს მეგობრობა, რომელსაც ამყარებენ სხვადასხვა ქვეყნების ქალაქები, ემსახურება პროგრესის საქმეს, მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებს.

სლოვენიის კომუნისტთა კავშირის ლუბლიანის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ფრანჩეკ მიტრიჩმა, საქალაქო სკუპშჩინის თავმჯდომარემ მიხა კომაკმა და კომუნისტთა კავშირის საქალაქო კომიტეტის წევრმა, საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარემ ბარბორიჩ ბოშტიანმა შეკრებილთ უამბეს მდიდარი რევოლუციური ტრადიციების მქონე ქალაქის — ლუბლიანის კომუნისტთა კავშირის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო სკუპშჩინის საქმიანობის შესახებ. მათ აღნიშნეს, რომ თბილისში ყოფნის დროს ბევრი სასარგებლო რამ შეიძინეს.

დელეგაციის წევრებმა უპასუხეს შეკრებილთა შეკითხვებზე, მადლობა გადაიხადეს გულთბილი მიღებისათვის და მიიწვიეს თბილისის დელეგაცია ლუბლიანაში.

(საქდესი).

საბჭოთა ადამიანების დახმარება

მოსკოვი. (საკდესი). სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება დაეხმაროს წყალდიდობით დაზარალებულ დაღესტნის რესპუბლიკის მოსახლეობას. საბჭოთა კავშირის წითელი ჯვარი დაზარალებულთ საჩქარად გადუგზავნის სურსათსა და ქსოვილებს.

მიფრინავს „კოსმოს-375“

30 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-375“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. (საკდესი).

გულითადი მილოცვა

ღირსეული ჯილდო

ყალმუხეთის ასსრ დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით

კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის და ყალმუხეთის ასსრ შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ყალმუხეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ ყალმუხეთის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს დიდ დღესასწაულს — ყალმუხეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 50 წლისთავს და რესპუბლიკის დაჯილდოვებას ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ, ნათქვამია მისალმებაში, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ყალმუხი ხალხი მტკიცედ დადგა სამეურნეო და კულტურული განვითარების გზას, აქტიურად ჩაება სოციალისტურ მშენებლობაში. მკაცრი განსაცდელის ჟამს ყალმუხეთის ბევრი შვილი იარაღით ხელში იცავდა საბჭოთა ხელისუფლებას, მამაცურად იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

განვლილი 50 წლის მანძილზე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რუსი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების ძმური დახმარებით ყალმუხეთმა, რომელიც მეფის რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი განაპირა მხარე იყო, აღმოფხვრა წარსულის მძიმე მემკვიდრეობა, დიდი წარმატებანი მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. რესპუბლიკაში აშენდა მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და კვების, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოები, ამუშავებენ ნავთობისა და გაზის საბადოებს. ყალმუხეთის წინათ უნაყოფო მინდრებში შეიქმნა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი დიდი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც აწარმოებენ დიდძალ მატყლს, ხორცს, მარცვლეულს და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციას.

ყალმუხეთში სამუდამოდ მოედო ბოლო მომთაბარე ცხოვრებას, სიღატაკეს, უწიგნურობასა და ავადმყოფობას. ახლა რესპუბლიკაში ხორციელდება საყოველთაო საშუალო განათლება, მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებანი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. საბჭოთა ყალმუხეთის მატერიალური და სულიერი ცხოვრების უმაგალითო აყვავება მკაფიოდ მოწმობს სკკპ ლენინური ეროვნული პოლიტიკის ჭამარჯვებას, ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა მეგობრობას, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების უდავო უპირატესობებს.

ყალმუხეთის ასსრ მშრომელები პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით აქტიურად ჩაებნენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, მტკიცედ იბრძვიან საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის დაჩქარებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ყალმუხეთის ასსრ მშრომელებს უსურვებენ ახალ დიდ წარმატებებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტური მშენებლობის საყოველთაო-სახალხო საქმეში. (საკდესი).

საბჭოთა ადამიანების ფოლოვნური მიღწევა

ბაკურიანი. (საკდესი). ბაკურიანის ბალნეოლოგიურ კურორტზე ჩამოსულ ადამიანებს ბევრ ფოლოვნურ ამბავს ჰყვებიან ადგილობრივ ბინადრები. ეს ამბავი ეხება ბაკურიანელ ბიბლიოთეკარ ანა ბოლოკაძეს, ბიბლიოთეკის ერთ-ერთ ფოლოვნურ ადგილზე ბინადარ ბებერ ბაბუებს, ბაკურიანელ ბავშვებს,

მსოფლიო დღეს

ფაქტები

მიღწეულია შეთანხმება

● **ბერლინი.** 29 ოქტომბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებს შორის მიღწეულია შეთანხმება, რომ ოფიციალურად ერთმანეთს გაუზიარონ აზრი საკითხებზე, რომელთა მოწესრიგება ხელს შეუწყობს ევროპის ცენტრში დაძაბულობის შენელებას და საინტერესოა ორივე სახელმწიფოსათვის.

სატოს განცხადება

● **ტოკიო.** 30 ოქტომბერი. (საკდესი). გაიმარჯვა რა მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის არჩევნებში, პრემიერ-მინისტრმა ეისაკუ სატომ განაცხადა, რომ გადაწყვეტა არ გაანხორციელოს თავისი კაბინეტის, აგრეთვე პარტიის ხელმძღვანელობის დაუყოვნებლივი რეორგანიზაცია.

მიწა გლეხებს

● **დელი.** 30 ოქტომბერი. (საკდესი). ყოფილი მაჰარაჯის ტრავანკორისა და სხვა დიდი მემამულეების კუთვნილი ზედმეტ მიწებს ინდოეთის ქერალის შტატის მთავრობა ჩამოართმევს და გაუნაწილებს უმიწო გლეხებს. როგორც იუწნის საagენტო იუწყება, ეს განაცხადა ქერალის შრომის მინისტრმა ბაბი ჯონნმა.

დაპატიმრება ესპანეთში

● **პარიზი.** 30 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საagენტოს მაღრიდელი კორესპონდენტი იტყობინება, სიუდად-რეალის (ახალი კასტილია) პროვინციის სამრეწველო ქალაქ პუერტოლანნში დაატაკტმრეს ესპანეთის კომუნისტური პარტიის ოთხი წევრი, რომლებსაც წაუყენეს ბრალდება, რომ კომპარტიის უჯრედი შექმნეს პუერტოლანოს სამრეწველო კომბინატ „ალვო სოტალოში“.

დიდი კატასტროფა

● **რომი.** 29 ოქტომბერი. (საკდესი). იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში მილანოსა და ლოდის შორის გუშინ დიდი საავტომობილო კატასტროფა მოხდა; ცუდი ხილვადობისა და ერთ-ერთი მძღოლის მიერ მოძრაობის წესების დარღვევის გამო ერთმანეთს დაეჯახა 41 მანქანა — 36 ძმიმე სატვირთო და 5 მსუბუქი ავტომობილი.

კატასტროფის შედეგად დაიღუპა 8 კაცი, 42 დაშავდა და დასახიჩრდა.

ციკლონის შედეგები

● **რავალპინდი.** 30 ოქტომბერი. (საკდესი). 265 კაცი დაიღუპა და უგზოოუკლოდ დაიკარგა ციკლონის შედეგად, რომელიც წარსულ კვირაში თავს დაატყდა აღმოსავლეთ პაკისტანს. გაფფრთხილებულმა სტიქიამ დაანგრია ბევრი საცხოვრებელი, გაანადგა ათასობით აკრი ბრინჯის ნათესები. მიღებული ცნობების თანახმად, სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ რაიონებში ცხოვრება თანდათან კალაპოტში დგება.

ფაქტები

გულითადი მეგობრობის ვითარებაში

სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს მიწვევით 1970 წლის 20-24 ოქტომბერს სომალში ოფიციალურ ვიზიტად იყო საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დ. ს. პოლიანსკის მეთაურობით.

დელეგაციია მონაწილეობდა სომალის რევოლუციის პირველი წლისთავის გამო გამართულ დღესასწაულში, გეგცნო სომალელი ხალხის ცხოვრებასა და შრომას, შეხვედრები და საუბრები ჰქონდა სომალის უმაღლესი რევოლუციური საბჭის პრეზიდენტთან გენერალ-მაიორ მოჰამედ სიად ბარესთან, სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღესი რევოლუციური საბჭოსა და მთავრობის წევრებთან. დელეგაციას ყველგან მეგობრულად და გულთბილად ხვდებოდნენ.

საუბრებისა და მოლაპარაკების დროს, რომლებიც მეგობრობისა და ძმური ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს თავიანთი ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური განვითარების მდგომარეობა და გაუზიარეს მომავლის გეგმები. მათ კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ ვითარდება ორი ქვეყნის ურთიერთობა პოლიტიკურ, ეკონომიურ, სავაჭრო, კულტურულ და სხვა დარგებში, რომელსაც საფუძვლად უდგას სრული თანასწორუფლებიანობა, ურთიერთპატივისცემა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ 1969 წლის 21 ოქტომბრის რევოლუციამ კიდევ უფრო ხელშემწყობი პირობები შეექმნა სსრ კავშირისა და სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებას.

საბჭოთა მხარე, რომელიც გაგებით ეკიდება სომალის რევოლუციის მიზნებსა და პრინციპებს და უმაღლესი რევოლუციური საბჭოს პოლიტიკას, რომლის მიზანია განამტკიცონ სომალის ერთგანული დამოუკიდებლობა და უზრუნველყონ მისი განვითარება პროგრესულ სოციალურ გარდაქმნათა გზით, აღუთქვამს სომალის სრულ მხარდაჭერას.

სომალის მხარე დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, სსრ კავშირის ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დიდ წვლილს აქტუალური საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირ-სომალის ურთიერთობის საკითხებზე. უმაღლესი რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს დიდი დახმარებისათვის სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში, ეროვნული კადრების მომზადებასა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა კავშირ-სომალის ეკონომიური და სავაჭრო თანამშრომლობის გაფართოების შესახებ მოლაპარაკებისათვის მოსკოვში უახლოეს დროში ჩამოვა სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია.

მოლაპარაკების დროს აღინიშნა, რომ ერთმანეთს ემთხვევა საბჭოთა კავშირისა და სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის შეხედულებანი ძირითად საერთაშორისო საკითხებზე.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ. მათ განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ყოველნაირი დახმარება გაუწიონ არაბ ხალხთა გმირულ ბრძოლას. ისინი გადაჭრით გმობენ ისრაელის მთავრობის აგრესიულ პოლიტიკას და მის დამხმარე იმპერიალისტურ ძალებს, რომლებიც ხელს უშლიან ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი მოწესრიგების ღონისძიებებს.

საბჭოთა კავშირმა და სომალის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დაადასტურეს თავიანთი სოლიდარობა ვიეტნამელ ხალხთან, რომელიც სამართლიანად იბრძვის ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ორივე მხარემ განაცხადეს, რომ სერიოზულად აწუხებთ მდგომარეობა, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შეიქმნა ინდოჩინეთის საქმეებში ამერიკის ჩარევის გაფართოებასთან დაკავშირებით.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, იღვწოდნენ კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის სრული, საბოლოო და უთუო ლიკვიდაციისათვის.

მშვიდობისა და საყოველთაო უშიშრობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, მხარეებმა განაცხადეს, რომ უნდა გაძლიერდეს საყოველთაო და სრული განიარაღების, მათ შორის მკაცრ საერთაშორისო კონტროლდაქვემდებარებული ატომური განიარაღების პრაქტიკული ღონისძიებანი.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი სომალის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდმნიშვნელოვანი წვლილია ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურმა მადლობა გადაუხადა სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს რევოლუციურ საბჭოს, მთავრობასა და ხალხს მეგობრული შეხვედრისა და გულთბილი მასპინძლობისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით მან ოფიციალურ ვიზიტად მიიწვია საბჭოთა კავშირში უმაღლესი რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტი მოჰამედ სიად ბარე. მოჰამედ სიად ბარე მადლობით დათანხმდა ამ მიწვევას.

ნიუ-იორკი

რ. ნიქსონი კალიფორნიაში

ნიუ-იორკი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). ათასზე მეტი დემონსტრანტი, რომლებიც პროტესტს იცხადებენ ვაშინგტონის აგრესიის გამო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, შეხვდა გუშინ პრეზიდენტ რ. ნიქსონს სანხოსეში (კალიფორნიის შტატი). „თავი მოგვაბეზრა ამ ომმა“, „ამერიკელო ჯარისკაცებო, დაბრუნდით შინ!“ — გაიძახოდნენ დემონსტრანტები.

პრეზიდენტის ლიმუზინს დაუშინეს ლაყე კვერცხი, დამპალი პომიდორი, ქვა. პოლიციამ ცრემლსადენი გაზის გამოყენებით გარეკა დემონსტრანტები და დაატყვევა რამდენიმე მათგანი.

დოლარეგის წვიმა...

ნიუ-იორკი. 30 ოქტომბერი. (საკდესი). 1924 წელიწადს, როცა გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი გახდა ედგარ ჰუვერი, გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომელთა რიცხვი 657-დან გაიზარდა 17.345-მდე. გაზეთი „ქრისჩენ საიენს მონიტორი“, რომელსაც მოჰყავს ეს მონაცემები, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გამოძიების ფედერალური ბიურო, ფედერალური მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფშმზარდ უწყებად გადაიქცა. ედგარ ჰუვერის უწყება, რომელიც ცნობილია იმით, რომ დევნის პროგრესულ ძალებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიმდინარე წელსაც საგრძნობლად გაძლიერდა. ამას წინათ პრეზიდენტმა ნიქსონმა ხელი მოაწერა კანონს ორგანიზებული დამნაშავეობისადმი კოტროლის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომელთა რიცხვის გადიდებას კიდევ 1000 კაცით.

გამოძიების ფედერალური ბიუროს შენახვას, აღნიშნავს „ქრისჩენ საიენს მონიტორი“, ყოველწლიურად ხმარდება ხულ უფრო მეტი სახსრები. მარტო უკანასკნელ 7 წელიწადში მისი წლიური ბიუჯეტი ერთიორად გაიზარდა და მიაღწია 260 მილიონ დოლარს.

პორტუგალია ყველაზე ღარიბი ქვეყანაა ევროპაში. ცხოვრების დაბალი დონე, უმუშევრობა, უწიგნურობა, ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი პროცენტი — აი რეაქციული რეჟიმის შედეგები. განვლილ წელიწადში სამუშაოსა და უკეთესი პირობების ძიებაში ქვეყანა ასეულ ათასობით პორტუგალიელმა დატოვა, ამიტომ არის აქ ასე დიდი მოთხოვნა ბავშვთა შრომაზე. ამ ბავშვებმა არ იციან რა არის გართობა, რა არის წიგნი, 10-12 წლის მოზარდების სამუშაო 14 საათს გრძელდება.

მომქანცველი შრომა, შიმშილი, ელემენტარული სამედიცინო მომსახურების უქონლობა — აი ამ არასრულწლოვანი „მუშების“ ხვედრი. ისინი ადვილად ავადდებიან, ადრე ბერდებიან ან ხეიბრები ხდებიან.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ 12 წლის არმანდინო ფერეირას — ოპორტოს ღვინის ქარხნის მუშას. იგი ოცნებობს იმ დღეზე, როდესაც სკოლაში დაბრუნდება. მას ექიმობა უნდა, მაგრამ „ეს მხოლოდ მდიდრებს შეუძლიათ“, ამბობს იგი.

ფოტო პრესნს ბილდსაკდშენისა.

ნიუ-იორკი

ა. გრომიკო ბერლინიდან გაემგზავრა

ბერლინი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო დღეს ბერლინში ეესუბარა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ულბრიხტს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. შტოფს.

ბერლინი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბერლინიდან გაემგზავრა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

მაინის ფრანკფურტი. 30 ოქტომბერი. (საკდესი). აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც საუბარს გამართავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. შელთან ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

ამხილებენ აგრესორს და მის მფარველებს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური კასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი. 30 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომებზე გრძელდება ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის განხილვა. სხვადასხვა ქვეყნის დელეგატები ამხილებენ ისრაელის სახელმწიფოს ნამდვილ სახეს, რომელმაც საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზნად დასახა ექსპანსია თავისი მეზობლების ხარჯზე.

ბულგარეთის წარმომადგენელმა ჰ. ტარაბანოვმა თქვა, რომ ისრაელს ასეთი პოზიცია შესაძლებელი გახდა მისი ხელმძღვანელებისა და იმპერიალისტური ძალების, უწინარეს ყოვლისა ამერიკის იმპერიალიზმთან გარიგების შედეგად.

ყოველთვის, თქვა მან, როცა შეერთებული შტატები ისრაელს აწვდის იარაღის მორიგ პარტიას, ამას „ძალთა თანაფარდობის აღდგენის“ საბაბით აკეთებენ. სინამდვილეში კი „თანაფარდობის“ ასეთი აღდგენა შეტევითი იარაღის მიწოდების გზით მიზნად ისახავს კვლავ საშუალება მისცენ ისრაელს ბარბაროსულად ესხმოდეს თავს არაბულ ტერიტორიას.

ისრაელის პოლიტიკა მკვეთრად დაგმეს ავრეთვე იუგოსლავიის, სენეგალის, ინდონეზიის, უგანდის, მაროკოს, სირიის, ლიბანის წარმომადგენლებმა.

ისრაელის ფაქტიური დამცველის პოზიცია დაიკავა შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჩ. ოსტმა. იგი არა თუ შეეცადა ასამბლეის დელეგატთა წინაშე გაეამართლებინა ამერიკის მიერ ისრაელისთვის შეტევითი იარაღის მიწოდება, არამედ უწდოდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისთვის გადაბრალებინა ბირინგის“ მისიის ჩაშლა.

ოსტმა ასამბლეის განსახილველად შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომლის პროთასიაელური არსი ეშვსაც არ იწვევს. ამ პროექტში, რომელიც ფორმალურად მხარს უჭერს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციას, მოიხსენიება ძველი და ოკეანი უარყოფილი მოსაზრებანი, თითქოს ე. იარინგის ეგიპეთ ლონტალური ბის „ანარქიძობას ხელს უშლიდეს „ნდობის ვითარების უქონლობა“.

ამით ამერიკის დოკუმენტი მხარს უჭერს ისრაელ ექსტრემისტებს, რომლებიც მიმართავენ ცრუ მტაცებლებს, თითქოს „ღიარ ეყოს ნდობის ვითარება“ და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა „აღიარებდეს“ ციონიზმის შეუფერებელ მაბინ, როცა აფრიკა-აზიის ქვეყნების ჯგუფის რეზოლუციის პროექტს უკვე ხელი მოაწერეს ოცი ქვეყნის წარმომადგენლებმა.

გაერთიანებული სხდომა

მარშალის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში

გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის გეგმის შესაბამისად, 1970 წლის 27-30 ოქტომბერს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში (ქალაქი ვარნა) მიმდინარეობდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სამხედრო საბჭოსა და არმიების ხელმძღვანელი შემადგენლობის გაერთიანებული სხდომა.

სხდომას ხელმძღვანელობდა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ი. იაკუბოვსკი.

სხდომაზე შეაჯამეს 1970 წლის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობის, ოპერატიული და საბრძოლო მომზადების შედეგები, განიხილეს 1971 წლის ამოცანები და გადაწყვეტეს სხვა საკითხები.

ყველა საკითხის განხილვა მიმდინარეობდა მეგობრულ ვითარებაში და ყველა მონაწილის ურთიერთგაგების სულისკვეთებით.

მოკავშირე არმიების სამხედრო საბჭოს წევრები და ხელმძღვანელი შემადგენლობა დაესწრო ბულგარეთის სახალხო არმიის ჯარების წვრთნასა და მეცადინეობას. (საკდესი).

იორდანია

მეფის წერილი მთავრობისადმი

ამანი. 29 ოქტომბერი. (საკდესი). იორდანიის მეფე ჰუსეინმა წერილი გაუგზავნა იორდანიის პრემიერ-მინისტრს ვასფი ატ-ტელს. წერილში ჩამოყალიბებულია ამოცანები, რომლებიც ქვეყნის ახალი მთავრობის წინაშე დგას. მთავრობამ, ნათქვამია წერილში, მთელი ძალ-ღონე უნდა მოახმაროს იორდანიის ხელისუფლებსა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ძალებს შორის ურთიერთობის წორმალიზაციის შესახებ კაიროსა და ამანის შეთანხმებათა შესრულებას. ხელისუფლებსა და პალესტინელ პარტიზანებს შორის ურთიერთობას, ნაჩვენებია წერილში, საფუძველად უნდა ედოს ურთიერთნდობა და თანამშრომლობა. მოკავშულ ეტაპზე იორდანიის მთავრობის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია, აღნიშნულია შემდეგ წერილში, მიაღწიოს ეროვნულ ერთობას, შეიმუშაოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ახალი გეგმები, აგრეთვე განამტკიცოს ქვეყნის შეიარაღებული ძალები.

ახალი მთავრობის საქმიანობა, ხაზგასმულია მეფე ჰუსეინის წერილში, მიზნად უნდა ისახავდეს ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციას.

კაირო. 29 ოქტომბერი. (საკდესი). იორდანიის ახლად შექმნილ მთავრობას ეჭნება გულწრფელი და მჭიდრო ურთიერთობა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან და სხვა არაბულ ქვეყნებთან, განაცხადა იორდანიის პრემიერ-მინისტრმა ვასფი ატ-ტელმა.

იორდანიის პრემიერ-მინისტრი შეეხო ქვეყნის მიერ შექმნილ მდგომარეობას და განაცხადა, რომ ახლად შექმნილი მთავრობა განსაკრიტიკებს ზოგიერთ გარდაქმნას, რათა ლიკვიდაცია უყოს ამას წინათ მომხდარ შეცდომებთა შედეგს.

რა „ლირს“ პრეზიდენტი?

რამდენი დოლარი უნდა დახარჯოს ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ წინასაარჩევნო კამპანიაში, თუ ხურს, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტად აირჩიონ? ამ კითხვაზე უბრალოდ შეიძლება პასუხის გაცემა: რაც უფრო მეტი ფული აქვს პრეზიდენტობის კანდიდატს, მით უფრო მეტი დრო შეუძლია „იყიდოს“ რადიოსა და ტელევიზიაში საკუთარი პერსონის რეკლამისათვის.

დემოკრატიულ პარტიას ნაკლები მოსახლეები ჰყავს ქვეყნის ფინანსურ მაგნატებს შორის, ვიდრე რესპუბლიკურ პარტიას, რომლის წარმომადგენელსაც დღეს პრეზიდენტის პოსტი უჭირავს. ამიტომ იყო, რომ 1968 წლის არჩევნებში რესპუბლიკელებმა თავს უფლება მისცეს რადიოთი და ტელევიზიით რიჩარდ ნიქსონის რეკლამისათვის 12.700 ათასი დოლარი დაეხარჯათ. დემოკრატიულმა პარტიამ თავისი კანდიდატის მემფრის რეკლამისათვის ამ თანხის ნახევარი გაიღო: 6.100 ათასი დოლარი.

ემზადება რა მომავალი 1972 წლის არჩევნებისათვის, დემოკრატიულმა პარტიამ რადიოთი და ტელევიზიით პრეზიდენტობის კანდიდატის წინასაარჩევნო რეკლამისათვის განკუთვნილ ხარჯებზე ლიმიტის დაწესება მოითხოვა. დემოკრატებმა მოახერხეს კონგრესის ორივე პალატაში გაეტარებინათ ლიმიტის კანონპროექტი, რომელიც ამ ხარჯებზე 5.100 ათას დოლარს ითვალისწინებს. მაგრამ პრეზიდენტმა ნიქსონმა ისარგებლა ვეტოს უფლებით და შეაჩერა კანონპროექტი.

დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ ლოურენს ო' ბრაიენმა განაცხადა, რომ პრეზიდენტმა ისარგებლა უფლებით, რათა მომავალ არჩევნებში თავისი პარტიის წარმომადგენლებს კვლავ საშუალება მისცეს შეავსონ „რადიოტალღები“ საკუთარი პროპაგანდით.

ამერიკის კაპიტალის ორი მთავარი პოლიტიკური პარტიის არასახარბიელო კონკურენციამ კვლავ დაანახვა მთელ მსოფლიოს, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტის შეძენა ყოველთვის შემძლე დოლარის საშუალებით ხდება.

ბ. ფრიმენი,
საკდესის კორესპონდენტი.
ნიუ-იორკი.

ინდოეთი

ს. ალიენდეს პრეს-კონფერენცია

სანტიაგო, 29 ოქტომბერი. (საკდესი). ჩილეს ახალი მთავრობა გააფართოებს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის, ვაჭრობისა და პოლიტიკის დარგებში, — განაცხადა პრეს-კონფერენციაზე სალვადორ ალიენდემ, რომელიც 24 ოქტომბერს აირჩიეს ჩილეს პრეზიდენტად.

ჩვენ დავამყარებთ და განვავითარებთ მეგობრულ ურთიერთობას უკლებლივ ყველა ქვეყანასთან თვითეული ქვეყნის სუვერენიტეტის პატივისცემის საფუძველზე, განაგრძო ალიენდემ. პრეზიდენტმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას, რომ ჩილეს მთავრობა განიხილავს საკითხს იმ სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ, რომლებთანაც ჩილეს არ ჰქონია ასეთი ურთიერთობა. ამ ქვეყნებს უწინარეს ყოვლისა განეკუთვნებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. „ვერაფერი ვერ შეგვიშლის ხელს, რომ დავამყაროთ დიპლომატიური ურთიერთობა სოციალისტურ კუბასთან“, — თქვა შემდეგ ალიენდემ.

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ჩილე იბრძოლებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის და შესაძლებლობისამებრ მზრის დაუჭერს მშვიდობის აღდგენას ვიეტნამში. ხოლო აღმოსავლეთსა და მსოფლიოს ყოველ რაიონში, სადაც შეიძლება წარმოიქმნას ომის გაჩაღების საფრთხე. სახალხო მთავრობა, განაცხადა ჩილეს პრეზიდენტმა, მზარს დაუჭერს ყოველ ინიციატივას, ვინც უნდა გამოიჩინოს იგი, რომელიც მიზნად დაისახავს ყველა სადავო საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრას.

შეეხო რა საშინაო პოლიტიკას, ალიენდემ თქვა, რომ სახალხო ერთიანობის პროგრამა რომელიმე ცალკე პარტიის პროდუქტი არაა, იგი ეყრდნობა სახალხო ერთიანობაში შემავალი ყველა პარტიისა და ორგანიზაციის პროგრამების ძირითად დებულებებს და გამოხატავს მთელი ჩილელი ხალხის ინტერესებს.

ჯეინ ფონდა: მე სწორი გზა ავირჩიე

ილუსტრირებული ჟურნალები, რომლებიც ესოდენ უხვად აქვეყნებენ მსახიობი ქალების „ალსარებებს“, ამ შემთხვევაში გულმოდგინედ დუმილით უვლიან ჯეინ ფონდა ვიეტნამში მშვიდობისათვის ერთ-ერთი ბრძოლი გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ცნობილი კინომსახიობი დღეს დაუღლავ აგიტაციას ეწევა „ჯი-აის“ რიგებში. „არა როგორც მსახიობი, — ამბობს იგი, — არამედ როგორც ქალი და მოქალაქე“.

აქამდე ჯეინ ფონდას იცნობდნენ როგორც კინოვარსკვლავს, გამთქმელი მსახიობის ქალიშვილს, პოპულარული კინორეჟისორის ცოლს. მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცოდა, რომ მან მტკიცედ განსაზღვრა თავისი ადგილი იმათ რიგებში, ვისთვისაც მახლობელია ის პრობლემები, რომლებიც მისი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ფართო ფენებს ტანჯავენ.

ჰენრი ფონდამ ითამაშა ფილმებში „ბრისსანების მტკვნები“ და „თორმეტი განრისხებული ადამიანი“. მისმა ქალიშვილმა ჯეინმა ისეთი აღზრდა მიიღო, რომელმაც მას თავისუფლებისმოყვარეობა ჩაუნერგა. იმ ნედლ, რაც ინდიელებს ხვდათ ამერიკის შეერთებულ შტატებში, მისი შეშფოთება გამოიწვია. შემდეგ — ვიეტნამი. ერთხელ საფრანგეთში მოგზაურობის დროს, მისთვის ცხადი გახდა ყველაფერი, რაც ვიეტნამის მიწაზე ხდება, — სოფლებზე ავიაციის თავდასხმები, ჰოსპიტლები, სკოლები, ნაბანები, ბურთულა ბომბები. ყოველივე ეს ხდება ვარსკვლავ-ზოლიანი ალმის მფარველობით.

ჯეინის არსებაში რაღაც შეიცვალა. მან იგრძნო, რომ მეტი ინტერესით უნდა ეკიდებოდეს თავისი ქვეყნის ცხოვრებას.

სწორედ ამიტომ მან კონტაქტი დამყარა იმათთან, ვინც ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების ომის წინააღმდეგ იბრძვის. ამას მალე მოჰყვა იმ საპროტესტო მოძრაობაში მონაწილეობა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ უნივერსიტეტების ჩარჩოებით შემოიფარგლებოდა, დღეს კი თვით ამერიკის არმიაშიც მტკიცდება.

„ჯი-აის მოძრაობაზე“ ჯეინ ფონდა ბევრ რამე საინტერესოს მოგვითხრობს.

მოძრაობას საფუძვლად უდევს იმ ჯარისკაცების მოღალეობა, რომლებმაც თავიანთ ხელში აიღეს ვიეტნამში მშვიდობისათვის ბრძოლის საქმე. იგი წარმოიშვა სამი წლის წინათ, როცა დოქტორმა ჰოვარდ ლევინ უარი განაცხადა მედიცინა ესწავლებინა „სპეციალური ძალებისათვის“. ეს მოხდა სამხრეთ კაროლინაში ფორტ ჯენსონის გარნიზონში. ლევი სასჯელიანად ჩასვეს ოცდაექვსი თვით. მაგრამ საპყრობილიდან მან დაიწყო ჯარისკაცთა გამოსულების მოწყობა ომის წინააღმდეგ.

ერთ-ერთი პირველი იყო ელლისიანი ლოცვების ლმა. მასში მონაწილეობდა სამოცამდე ჯარისკაცი. პოლიციამ ისინი საყდარში არ შეუშვა. მაგრამ მათ შესასვლელთან დაიჩოქეს და ომის დამთავრებისათვის ილოცეს. მასწავლებლებმა ყველა მონაწილენი დააპატიმრეს და საპყრობილეში ჩასვეს. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ საზოგადოებრიობის ზეგავლენით გაათავისუფლეს.

დაახლოებით ამავე დროს ისევ ისევ ყავს ხასლებისა, რომელთა მოღვაწეობა „ჯი-აის მოძრაობის“ შემადგენელი ნაწილი გახდა.

ყველა ხასლები — ახლა ისინი ათობენ ტამდა — წარმოადგენენ ჯარისკაცთა კლუბებს, რომლებშიც გამოიცემა ბლეკეტები, ლენინის, აგრეთვე სხვადასხვა ჰოლიტიკური მოღვაწეთა პორტრეტები. „ბოპ-მუსიკისა“ და ჯაზის კონცერტებს იქ ცვლის ლექციები და ფილმები ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიაზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშათა მოძრაობის ისტორიაზე.

მნიშვნელოვანია თუ არა „ჯი-აის“ მოძრაობა? ჯეინ ფონდას იგი დიდწინაშვნელოვნად მიაჩნია. ბურჟუაზიული პრესა თითქმის მთლიანად დუმილით უვლის გვერდს მის მოქმედებას. ამას წინათ ვაიომინგში ორმოცდაათმა სამხედრომ მოწოდებაზე ზანგმა ვაფაგა ბოიკოტი მოუწყო საპროტესტო ლაშქრობა საპერო ბაზაზე. მაგრამ ამის შესახებ ამერიკის ჯარისკაცის ბეჭდვითი ერთი სიტყვაც არ თქმულა.

„არია, — ამბობს ჯეინი, — ყოველნაირად აქებენ ამ ჯიგლდოებს ოფიცრებსა და ყოფილ უმცროს მეთაურებს, რომლებიც ომის დასაკავად გამოდიან ორგანიზაციების კრებებზე ან საზოგადოებრიობის მიტინგებზე. ეს, მირქალ, სჯის იმ ახალგაზრდებსა და ოფიცრებს, რომლებიც საკარიერ უჭერენ ომის მშვიდობას, თუნდაც ამას აკეთებდნენ თავისუფალ დროს და როცა სამოქალაქო ტანსაცმელი აცვიათ. ამრიგად, სამხედრო ხელმძღვანელობა ამერიკელებს აიძულებს დაიჯერონ, რომ ჯარისკაცები მხარს უჭერენ ომს.

ჩვენ გადავწყვიტეთ დაუსმარებლად არ დავტოვოთ ისინი, ვინც ომის წინააღმდეგ გამოდის. მარტო სიმპათია არ კმარა, მაგალითად, ისეთი ადამიანისათვის, როგორიც არის ჯორ ჯენსონი, ფორტ ლენინის სამხედრო მოსამსახურე. მას ხუთი თვის პატიმრობა მოუსაჯეს მხოლოდ იმისათვის, რომ „კრამოლური“ საგაზეთო სტატია უჩვენა თავის ამხანაგს“.

ჯეინ ფონდა ლაპარაკობს აგრეთვე საპროტესტო მოძრაობის სხვა ორგანიზაციებზე, რომლთა საერთო ლოზუნგია ვიეტნამი. საქმე ეხება „შავ ავაზებსა“ და „ჭალთა მოძრაობას.

მსახიობს ჯალი საკმაოდ უყურებს მომავალს.

„ეერაფერთან შესაძლებლობას ვერ ვხედავ, — ამბობს იგი, — თავიდან ბოლოამდე რეპრესიების ტალღებია, რამდენადაც ომი ვიეტნამში, როგორც ყველაფრიდან ჩანს, გაგრძელდება. ეს ეამიოწვევს მასობრივი პროტესტის ახალ აღმავლობას ამერიკაში, რასაც, რაღა თქმა უნდა, მასობრივი რეპრესიებიც მოჰყვება. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ უპასუხებს ამ რეპრესიებს ამერიკელი ხალხი“.

ჯერჯერობით კი მიუხედავად მუქარისა, ჯეინ ფონდას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს ბრძოლა.

ჩემმ მოგაკვლილ? — კითხვით ვეკასუხებს იგი. — ეს შეიძლება მიამიტურად გეგონოთ, მაგრამ ეე არც კი ვსვამ ამ კითხვას. გაფრთხილებანი საკმაოდ მეძლევა. კინოში

ანგარიშგება-არჩევნები
პარტიულ ორგანიზაციებში

რაც მოსალოდნელი არ იყო...

სამი ინტერვიუ ქრების შემდეგ

ბევრი არც კი ფიქრობდა, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელიც ამ დღეებში გაიმართების რაიონის ახალი სამგორის მეტალურგიის საბჭოთა მეურნეობაში გაიმართა, ასე მწვავედ, ასე პრინციპული კრიტიკითა და თვითკრიტიკით ჩარიმართებოდა. წელს ხომ აქ წინასამეურნეო წლებთან შედარებით მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული. ადრე კი ყოველი წელი ზარალით მთავრდებოდა. მიმდინარე წლის 9 თვეში მეურნეობის მოგებამ 16 ათას მანეთს გადაჭარბა. წინასწარი ვარაუდით წლის ბოლოსათვის ეს თანხა კიდევ უფრო გაიზრდება. მეურნეობა პირველად თავის არსებობის პერიოდში რენტაბელური გახდა.

პირველი ოქტომბრისათვის მეურნეობას უნდა ჩაებარებინა 982 ტონა ბოსტნეული, ფაქტიურად ჩააბარა 1.204 ტონა. მარცვლის მოსავლიანობის გეგმა 135 პროცენტით შესრულებულ, ხოლო 870 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 462 ტონა რძე. გადაჭარბებით შესრულდა ხორცის, მატყლის, და სხვა პროდუქტების წარმოებისა და ჩაბარების სახელმწიფო გეგმები.

ეს წარმატებები მეურნეობაში ორგანიზაციულ-პარტიული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებამ და სამეურნეო ხელმძღვანელობის განმტკიცების შედეგად არის მოპოვებული. მიუხედავად ამისა, კომუნისტებმა პარტიულ კრებაზე მაინც მოურიდებლად ამხილეს ნაკლი, რაც პარტიულ კომიტეტს თავის საქმიანობაში ჰქონდა.

პარტიულ კრებაზე ერთხელ კიდევ გამოითქვა ის აზრი, რომ ამუამად მთავარი ამოცანაა პირნათლად შეკრულიყოთ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი დალდებულებანი.

— რა შეიტანდილება მოახდინა თქვენზე ხანგარიშო-საარჩევნო კრებამ? ხომ არ დაგებადათ რაიმე ახალი აზრი? ამ კითხვებით მივმართეთ რამდენიმე კომუნისტს კრების დამთავრების შემდეგ.

ნ. ჩოხელი, მებოსტნე:—ვეთანხმები პარტიული კომიტეტის მდივანს ნ. მარსაგიშვილს, რომ ხაბჭოთა მეურნეობაში გამოცოცხლდა პარტიული მუშაობა, ამალლდა კომუნისტების ავანგარდული როლი, რის შედეგადაც მიღწეულია გარკვეული სამეურნეო წარმატებები. ჩემი აზრით, მოხსენებას ჰქონდა ნაკლიც. მაგალითად, მასში აღნიშნულია იყო, რომ წელს ვერ შესრულდა ბოლოსა და ყურძნის მოსავლიანობის გეგმები. ეს ჩვენც კარგად ვიცოდით, მაგრამ რა ზომებს იღებდა პარტიული კომიტეტი ამ კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად, ვინ იყო დამნაშავე, ვინ დაისჯა ამისათვის — აი რაზე უნდა გაემახვილებინა ამ ყურადღება. ანდა ავიღოთ მეორე საკითხი: საანგარიშო მოხსენებაში არაფერი თქმულა მიღებულ დადგენილებათა შესრულებაზე, მის შემოწმებაზე. ხამწუხაროდ, პარტიულ კრებებზე ბევრ კარგ დადგენილებას ვიღებდით, მაგრამ იმის გამო, რომ შემდეგ სათანადო კონტროლი არ იყო, მათი დიდი ნაწილი შეუსრულებელი რჩებოდა.

მოხსენებაში უხვად იყო დასახელებული ფაქტები, მაგალითები და გვარები, მაგრამ რა ზომებს იღებს პარტიული კომიტეტი იმათ მიმართ, ვინც არღვევდა პარტიის წესდებას, შრომის დისციპლინას? ამაზეც კონკრეტულად უნდა გვითქვა.

— კრება მომეწონა, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მოხსენებაც და ცალკეული კომუნისტების სიტყვებიც შეიცავდა გაწეული მუშაობის ღრმა ანალიზს: პრინციპულად, კრიტიკით და თვითკრიტიკით აღინიშნა არსებული ნაკლი, — თქვა მეურნეობის მთავარმა აგრონომმა ნ. ბასოშვილმა, კომუნისტებმა ვ. წიკლაურმა, მ. ქავთარაძემ, გ. ბეჭაურმა, თ. ხეჩუაშვილმა, ლ. ბეჭაურმა, მეურნეობის დირექტორმა შ. სიბაშვილმა და სხვებმა ამ კრებაზე თქვეს, რომ პარტიული კომიტეტი და მეურნეობის ადმინისტრაცია ნაკლებ უყურადღებას აქცევდნენ რეზერვების გამოვლინებასა. და ამოქმედებას, ირღვეოდა ნიადაგის დამუშავების აგროტექნიკური ვადები. მეტად ცუდად. უსუხურად მუშაობდა ხატრაქტორო პარკი. ყოველივე ამას ადგილი არ ექნებოდა, პარტიული კომიტეტი უფრო ღრმად რომ ჩახედულიყო საამეურნეო საქმიანობას, თავიდანვე მიეღო ქმედითი ზომები ნაკლოვანებათა დასაძლევად. ვფიქრობ, მართალი იყვნენ ისინიც ვინც ახალგაზრდებთან მეტი აღმზრდელობითი მუშაობა მოითხოვა.

ხატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ს. ხოკერაშვილმა თქვა:

ჩვენი ხატრაქტორო პარკი სამართლიანად იყო გაკრიტიკებული. სამწუხაროდ, პარკი დღეისათვის საგალალო მდგომარეობაშია. ვერ იქნა და ვერ დავალაგეთ იარაღ-მანქანები თავთავიანთი მარეების მიხედვით. ადგილი ჰქონდა გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების ჩაშლას. პარკში მომუშავე კომუნისტებს შორის მოშლილი იყო საწარმოო დისციპლინა. ყოველივე ზემოთქმულიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

ერთი შენიშვნა მოხსენების ირგვლივ. სიერთოდ იგი კარგად იყო შედგენილი, შეიცავდა გაწეული მუშაობის კარგ ანალიზს, მაგრამ ვერ დაეთანხმები პარტიული კომიტეტის მდივანს იმ ნაწილში, როცა ზოგადად აღნიშნა — ადგილი ჰქონდა ცალკეული კომუნისტების მიერ პარტიული დისციპლინის დარღვევის ფაქტებსო. ასეთი უმნიშვნელო კრიტიკა მიზანში ვერ ხვდება და, ცხადია, შედეგიც ნაკლები აქვს.

საანგარიშო-საარჩევნო კრებიდან, ამ შენიშვნებიდან ახლად არჩეულმა პარტიულმა კომიტეტმა სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანოს. პარტიული ორგანიზაციის მთავარი საზრუნავი ის არის, რომ ყოველწლიურად მტკიცდებოდეს მეურნეობის ეკონომიკა, საბჭოთა სახელმწიფომ მიიღოს მეტი პური, ხორცი, რძე, ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

ლაგოდეხელი მეთამბაქოეები

რეპორტაჟი

დღინარმ ალაზნის მარცხენა ნაპირზე, კავკასიონის მთის ძირას გადაშლილია ლაგოდეხის რაიონი. ქალაქი და სოფლები მთლად მწვანეშია ჩაფლული. მისი მთები და ჭიუხები, ჭალები და ჩანჩქერები, ფლორა და ფაუნა მრავალი მნახველისა და უცხო ტურისტის თვალს იზიდავს. მუქლურჯ მთებზე თეთრად გადაქთქაფებულ თოვლს და ფიროზისფერ ცას რომ შეხედავ, „უნებლიეთ გაგახსენდება პოეტის სიტყვები: „მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი, ცა ფიროსმანის დახატულია“.

ეს რაიონი ლამაზია იმიტომ, რომ გამჯდა ადამიანების ხელით არის დახატული. წელიწადს რომელ დროსაც არ უნდა გაიაროთ ლაგოდეხის რაიონის სოფლებში, ერთსაირი ფუსფუსია საკოლმეურნეო მინდვრებსა თუ საკარმიდამო ნაკვეთებში. ერთნი შეტენილ თამბაქოს ეზიდებიან, მეორენი მის ანემსვაზე მუშაობენ, მესამენი საბოსტნე ნაკვეთებს ამუშავებენ, ბოსტნეულს, ხილს ამზადებენ. ავიკაბად მიმდინარეობს აგრეთვე თავთავიანი კულტურების თესვა, სიმინდის აღება, რეპანის დამზადება, და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი საქმე აქვთ ამ შემოდგომაზე. უკანასკნელ წლებში კი ვენახების გაშენებასაც მოკიდეს ხელი წელს სახელმწიფოს 3.000 ტონაზე მეტი ყურძენი მიჰყიდეს.

ყველა ყველაზე, მაგრამ თამბაქო ჩვენთვის მთავარია — გეტყვის ლაგოდეხელი კაცი და მართლაც, რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში მას დიდი ადგილი უჭირავს.

ბრძოლა თამბაქოსათვის წელიწადის ყოველ დროს განუწყვეტელია. სათესურების მომზადება, ჩითილის გამოყვანა, სარგებლად ნიადაგის მომზადება, ჩითილის რგვა, თინნა, კულტივაცია, ფოთლის შეტეხა, ანელშვა, მერე მისი მოვლა-გაშრობა. შრომის ეს წრე ყოველ წელიწადს ახე მეორდება. თამბაქოს მოვლა-მოყვანის საქმე ასობით და ათასობით ადამიანმა შეიყარა და შეისისტემატიზა. უხვი და მაღალხარისხოვანი თამბაქოს მოლების ნამოვიანი ოსტატები გახდნენ. სიმონ არაბიძის, ვასილ ცეცქირიძის, ეფმან მეჭიდლიძის ოჯახები ყოველწლიურად 4-5 ტონა მშრალ თამბაქოს აბარებენ საფერმენტაციო ქარხანას.

დიდი სიძნელეები შეექმნათ ლაგოდეხელ ბეთამბაქოეებს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში. ისინი ვერძეულან შეეწარის ასეთ დაავადებას, როგორიც არის კენწრული ქლორიზი. ამ საქმისათვის არ დაიშურეს არც ცოდნა, არც გამოცდილება, არც შრომა, არც წამალი, მაგრამ ამაოდ. როცა ძლიერ გაუჭირდათ, საქართველოს სსრ მეცნიერთა დაცვის ხალეფნიერო-საკვლევ ინსტიტუტსაც მიმართეს. მათი რეკომენდაციით წელს იერის-ოვლისში ქლოროფოსის კონბინირებული ხსნარით წამლობაც ჩატარდა, მაგრამ პლანტაციების გარკვეული ნაწილი სოფლების ნინიგორის, ბანსუბნის, ფონის, კიბლისა და ყარსუბნის კოლმეურნეობებში მაინც დაზიანდა.

ბულმოდგინე შრომის, თავდადების მაინც თავისი შედეგი მოაკვს. ბევრგან თამბაქოს პლანტაციები ისე განვითარდა, რომ ეგ ოვალს არ ენასვება და გეგმასთან შედარებით ერთიორად მეტ მოსავალსაც იღებენ.

კარგად თქვა აფეენი ალკოლმეურნეობის მოადგილემ აგრონომმა, ამ საქმეში დიდად გამოცდილმა კაცმა ი. მაისურაძემ — დაავადებებ უფრო ხშირად სუსტ ორგანიზმს ეჩნდებიო.

მართალია, ვერც ამ კოლმეურნეობამ დაღწია თავი თამბაქოს დაავადებას, მაგრამ ძირითად მასივებზე საუკეთესო პლანტაციები აქვთ. ისე რომ, ჯეგმაზე მეტი ფოთოლი ჯერ შეტეხეს და იმ ნაკვეთებიდან, სადაც მოსავლის აღებას ვეღარ აუდიან, მეზობელი კოლმეურნეობები ამზადებენ თამბაქოს ნელფეულს.

წელს ასევე კარგი პლანტაციები აქვთ და გეგმებს გადაჭარბებით შესრულებენ ლაგოდეხის კოლინინის, შრომის „ლენინის ანდერძის“, ლენიანის ენგელსის და ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობები. მათი მოწინავე მეთამბაქოეები: ნ. ბუნაშვილი, ლ. გორუძე, უ. კირკალიძე, მ. ფირაძე, თ. მიქელუფშვილი და სხვები ჰექტარზე საშუალოდ 4-5 ტონა თამბაქოს ნედლეულს იღებენ და ჯეგმებს ერთიორად და მეტად ასრულებენ. ამ ადამიანებს ვერ აშინებს ვერც უამინდობა, ვერც ნკალეა და სხვა რამ. თვალისმინიერით უვლიან თვითეულ ძირ თამბაქოს.

— ხალხის დიდი შრომა წელს ამ თვალუწვდენელ პლანტაციებში, — გვეუბნება პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ბაბუნაშვილი, — წარმოდგენილი 2.400 ჰექტარზე დარგული ჩითილი, რომლის თვითეულ ღერზეც რამდენჯერმე შეეხო ადამიანის თითები. შემდეგ მათი რწყვა, თინნა, კულტივაცია, შეწამლა. ნიადაგის ძირითადი დამუშავების დროს და ჩითილის რგვისას შეტანილი იქნა 1.000 ტონაზე მეტი მინერალური სასუქი. გადაწყვეტილი გვაქვს თამბაქოს არც ერთი ხარისხოვანი ფოთოლი არ დაეტოვოთ მინდვრად.

რაიონის პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელობას, მთელ აქტივს თამბაქოს გეგმის შეუსრულებლობაზე ლაპარაკიც არა სურთ, თუმცა ეს ძალიან ძნელი საქმეა.

...ძნელია და სწორედ ამიტომ მთელი თავიანთი ძალისა და შესაძლებლობის მობილიზაციას ახდენენ.

კარგი ტრადიცია აქვთ ამ მხრივ ლაგოდეხელებს. როცა თამბაქოს პლანტაციებიდან კოლმეურნეობები მოსავლის აღებას ვეღარ აუდიან, კარს მომდგარი ყინვები კი პლანტაციებს დაღუპვას უქადის, მუშა-მოსამსახურეები კოლმეურნეთა გვერდით არიან, ეხმარებიან მათ.

ამჯერად კი ეს დახმარება, ე. წ. შაბათობანი ორგანიზებული იყო. ყოველდღიურად 1.000-1.200 კაცი და ქალი, დიდი თუ პატარა გამოდიოდა თამბაქოს შეტეხასა და ანემსვაზე. ამ პატრიოტულ საქმეს დიდი პოპულარობაცია გაუკეთა და სტიმული მისცა რაიონულმა გაზეთმა „გამარჯვების დროშამ“. მარტო სამ დღეში „მუშა-მოსამსახურეთა მიერ ერთ მილიონზე მეტი ზონარმეტრი თამბაქო იქნა შეტეხილი და ანემსილი. შაბათობებს ყველგან სათავეში ედგნენ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, კომუნისტები.

27 მილიონი ზონარ-მეტრი თამბაქოს შეტეხა და მისგან 4.000 ტონა თამბაქოს ნედლეულს დამზადება მართლაც იოლი საქმე როდია. მაგრამ ყველა დიდი გამარჯვება მხოლოდ მაშინ იქმედება, როცა ადამიანები სინდისიერებს არ უშინდებიან. ლაგოდეხელი მეთამბაქოეებიც ამ რწმენით შრომობენ.

ვლ. მჰედლიშვილი.
„კომუნისტის“ სპ. კორ.

სურათებზე: ზემოთ — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭაბუკიანის ი. ბავეშვაძის სახელობის კოლმეურნეობის თამბაქოს ხაშრიან ფარდულთან; ქვემოთ — ამავე კოლმეურნეობის მოწინავე მეთამბაქოეები ნათელა და გალინა ჯაჯანიძეები.

ფოტო ბ. ჟილაძისა.

„საქართველოს კომუნისტი“ № 10

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკურ ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი მეათე ნომერი.

ჟურნალის ახალ ნომერში დაბეჭდილია სტატიები: მოწინავე — ოქტომბრის დიადი იდეების ზეიმი; ე. ხუნდაძე — ჩვენი სამეცნიერო ისტორიული ამოცანები; დ. კიკნაძე — უნარისა და მოთხოვნილების ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი საკითხისათვის; მ. ჩიხლაძე — სახალხო მეურნეობის — კვალიფიციური კადრები; ა. კარბელაშვილი — კეთილრგებამულობის როლი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში და მისი პერსპექტივები; ნ. ჯავახიძე — სამომხმარებლო კოოპერაციის ახალი ამოცანების გზაზე.

რუბრიკით „ხაბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის“ ჟურნალში გამოქვეყნებული ი: ა. ხუციულაძე — სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში; ო. ლოლაშვილი — რესპუბლიკის დედაქალაქ სახელოვანი ოქტომბერს წინ.

„პარტიული ცხოვრების“ განყოფილებაში დაბეჭდილია: ვ. სანესაგანსკი, ა. ბაბაიძე — თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ პარტიულ დოკუმენტს; ფ. მახარაძე — პარტიის ბრძოლა კადრების სწავლების დონის ამაღლებისათვის.

ჟურნალი თავის მკითხველს სთავაზობს ავტორეთ განყოფილებებს „მარქსიზმ-ლენინიზმის ხელფეტვლების სკოლებისათვის“, „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“ და სხვა საინტერესო მასალებს.

ბიჭურთან, შუაფხოში

მთები და ადამიანები

იგი ცხოვრობს ფშავის მთაში, სოფელ შუაფხოში, რომლის გარშემო ბერიკაცებივით დაყუდებულა ახადის მთა, ხოშარის მთა, შუკის მთა. ზაფხულობით ათიათასობით ცხვარი სძოვს ბალახიან იალაღებზე, შემოდგომით კი ფაფარა ეფარებათ ტყეებს ფოთლებისგან, და ამ ფერადოვნებაში ერევა ოქროსფერ ბალახიანი ადგილები, ალაფარი ბალახებიან, ბალიანი ადგილები, ბალიანი ადგილებიანი, ბალიანი ადგილებიანი, ბალიანი ადგილებიანი

შეხვედრა უნივერსიტეტში

ამ დღეებში გამოჩენილი საბჭოთა მწერლები ალექსანდრე კორნეიჩუკი, ბორის პოლევოი და საბჭოთა კავშირის სახალხო უნივერსიტეტების საკავშირო მეთოდური საბჭოს წარმომადგენელი ნინო დუბროვინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ.

სტუმრების შესახვედრად მოვიდნენ პროფესორ-მასწავლებლები, მწერლები, მხატვრები, მსახიობები, ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუდენტები.

შეხვედრა, რომელიც საჟურნალისტო დარბაზში გაიმართა, გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ილია ვეკუამ. შემდეგ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბესარიონ ყლენტმა ილაპარაკა ალექსანდრე კორნეიჩუკისა და ბორის პოლევოის შემოქმედებაზე, დამსახურებაზე, ქართველ ხალხთან მეგობრობაზე.

სიტყვიერ სტუმრებს მიესალმნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მიხეილ პიატარელი, თბილისის ხოპერო თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. მეიდლიძე და სხვ.

დამსწრეთა წინაშე გამოვიდნენ ალექსანდრე კორნეიჩუკი და ბორის პოლევოი, რომლებმაც დიდი მადლობა გადაუხადეს ქართველ ხალხს გულთბილი მიღებისათვის.

საბჭოთა კავშირის სახალხო უნივერსიტეტების საკავშირო მეთოდური საბჭოს წარმომადგენელმა ნინო დუბროვინამ, თბილისის საქალაქო საზოგადოება „ცოდნის“ ლიტერატურისა და ხელოვნების სახალხო უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ პროკლე ციციელიძეს გადასცა ლენინის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო კონკურსში „საუკეთესო სახალხო უნივერსიტეტის“ გამარჯვებულის დიპლომი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ო. იაშაღაშვილი.

კიბერნეტიკა და ტვინი

სრულიად საკავშირო სიმპოზიუმი კიბერნეტიკის საკითხებზე თბილისში

თბილისში მუშაობა დაამთავრა მე-5 სრულიად საკავშირო სიმპოზიუმმა კიბერნეტიკის საკითხებზე. სიმპოზიუმი მოიწვიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა კიბერნეტიკის კომპლექსური პრობლემის სამეცნიერო საბჭომ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. ჩვენი ქვეყნის ბევრი სამეცნიერო ცენტრის კიბერნეტიკოსები, მათემატიკოსები, ფიზიკოსები, ინჟინრები, ბიოლოგები, ექიმები, ლინგვისტები ოთხი დღის განმავლობაში განიხილავდნენ ტვინის მოქმედებასთან დაკავშირებულ აქტუალურ პრობლემებს.

სიმპოზიუმზე მოსმენილ იქნა 7 მოხსენება და წარმოდგენილი ორიგინალური ნაშუშევრების 15 მიმოხილვა, რომლებიც მიეძღვნა ინტეგრაციული ფსიქიკური მოქმედების ინფორმაციულ პროცესებსა და მოდელებს, ევრისტიკულ დაპროგრამებას, ნეირობიერნეტიკას, ავტომატებსა და ავტომატების მიერ მოდელირებას, სახეთა გამოცნობის ევრისტიკულ მეთოდებს, სემიოტიკის პრობლემებს.

სიმპოზიუმის რამდენიმე სხდომაზე გაშუქებული იქნა აზროვნების პროცესების შესწავლისა და ზუსტი მანქანური ალგორითმების ფორმით მათი მიახლოებული აღწერის ცდების შედეგები.

სიმპოზიუმზე განხილულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში მეცნიერების განვითარების გზებისა და პერსპექტივების კომპლექსურ კვლევასთან დაკავშირებული ამოცანები. განხილულ იქნა აგრეთვე რთული (საწარმოო, ეკონომიური, საზოგადოებრივი) სისტემების სემიოტური (ნიშნური) მოდელების საკითხები.

საინტერესო ნაშუშევრებზე იყო ლაპარაკი სახეთა გამოცნობის პროცესთა და კლასიფიკაციათა მოდელირების სექციაზე.

მეცნიერთა ფორუმზე განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია იმ საკითხების განხილვამ, რომლებიც შეეხება ერთიან პრობლემატიკას, რაც ადამიანის მიერ ცნებათა ფორმირებას უკავშირებს სახეთა გამოცნობის პროცესებს.

ნეიროკიბერნეტიკის სექციაზე განიხილეს ტვინის, როგორც მთლიანი სისტემის, მოდელირების პრობლემა. ჩამოყალიბებული იქნა ცენტრალური ნერვული სისტემის მუშაობის ძირითადი ბიოლოგიური მექანიზმები. დაისახა ადაპტაციის, სწავლების, აღქმისა და სიგნალების დამუშავების, სახეთა და ცნებათა ფორმების გამოცნობის მექანიზმების უფრო დეტალურად და მოდელურად შესწავლის გზები.

წარმოდგენილი იყო აგრეთვე ნაშუშევრები ნეირონული ქსელების მოდელირების შესახებ, რომლებშიც მოცემულია ნეირონული სტრუქტურების აქტივობის პროცესთა წარმოსახვის ცდა. განხილულ იქნა ნეირონული ქსელების მათემატიკური მოდელები, რომლებიც შეძლებისდაგვარად ზუსტად ასახავენ ზოგიერთ ფიზიოლოგიურ მოვლენას, მაგალითად, სწავლებას, სმენითი სახეების გამოცნობას, პირობით რეფლექსსა და ა. შ. (საქდესი).

შინისაკენ გუდაუთის რაიონის ნახირი რიწა-ავადხარის გზით ბრუნდება ალპური საძოვრებიდან. ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

საუკეთესო პოლიტიკური პლაკატები

შეჯამდა საუკეთესო პოლიტიკური პლაკატისათვის კონკურსის შედეგები, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს. კონკურსი მოაწყვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა და რესპუბლიკის მხატვართა კავშირმა. კონკურსის ჟიურიმ გამოაცხადა გამარჯვებულნი. პირველი პრემია არავისთვის არ მიუნიჭებიათ.

მეორე პრემია მიანიჭეს მხატვრებს მ. კიკნაველიძეს პლაკატისათვის „მშობლიურო ჩემო მიწავ“, რომელიც შექმნილია საქართველოს სახალხო პოეტის გ. ტაბიძის ლექსის მიხედვით, და ი. ბუდელაძეს — პლაკატისათვის „50 წელი“. მესამე პრემია მიიღეს მხატვრებმა მ. კიკნაველიძემ ნამუშევრისათვის „იდიდე, სამშობლოვ!“, ნ. ჭელაზონიამ — პლაკატისათვის „1921-1971“ და მხატვარმა ი. ბუკიეკამ — ნამუშევრისათვის „საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი“. (საქდესი).

ეს საინტერესოა

ХИКА ФШАВ-ХЕВСУРЕТИСА ТОТЕБШИ

ეათურას მკვიდრი გიორგი ქისტაური უცნაური ფაქტის მომსწრე გახდა. თებერვალში ბინიდან ჯერ ერთი ცხვარი გაუჩინარდა, შემდეგ თითო-თითოდ კიდევ რამდენიმე. გ. ქისტაური შეფიქრიანდა. ბოროტმოქმედება მგლის „ხელწერას“ არ ჰგავდა. სხვა ნაირი ზამთრის პერიოდში დამწყვდეულ საქონელს ვერა ვნებს. დაეკვებულა ისიც კი იფიქრა, ამ ბნელ საქმეში ვინმეს მრუდე ხელი ხომ არ ურევიაო. ერთხელ ფარეხის მახლობლად ვეებერთელა და უცნაური ნაკვალევი შენიშნა. გლეხს ცნობისმოყვარეობა ათმაგად გაეზარდა. ჩაუსაფრდა და საგზომიდან ასიოდე მეტრზე სავსებით მკაფიოდ გაარჩია უცნობი, უზარმაზარი კატისმაგვარი მხეცი. ხალებიანი გიგანტი გემრიელად შეეკეცოდა მსხვერპლს. დაზარალებულმა გადაწყვიტა შური ეძია, მაგრამ ნაირი სათოფედ ვეღარ დაიმარტოხელა. გავიდა დრო, და ის, რაც მონადირეს უნდა გაეკეთებინა, ბუნებამ განახორციელა. მარტის შუა რიცხვებში ფარეხის მახლობლად პიტალო კლდის მასივზე ხვავმა იხუელა...

მაისში კახელმა მწყემსებმა ჯერ კიდევ კარგად შენახულ ნეკნებჩამსხვრეულ, უზარმაზარ ძუკატისმსგავს მხეცს მოპკრეს თვალი. ბეწვი გაფუჭებულიყო და შემდეგში გ. ქისტაურმა შეულახავად დარჩენილი მხოლოდ ერთი მეტრი სიგრძის კუდი აართვა ცხოველს, მსგავსი რამ არათუ მას, მთელ ფშავ-ხევსურეთში ბუნებას შებერებულ, ყველაფრის მნახველ და მომსწრე მონადირეებსაც არ ენახათ.

ფშავ-ხევსურეთში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით ჩასული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზოოლოგიური განყოფილების მუშაკები ესტუმრნენ სოფელ მათურას და ნახეს საქართველოს ფაუნისათვის მეტად ვირფასი მასალა — ჯიქის საკმაოდ კარგად შენახული ჩონჩხი და კუდი, რომელიც ამჟამად ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებაში ინახება.

პროფესორმა არჩილ ჯანაშვილმა გვიამბო, რომ საქართველოს ფარგლებში ჯიქის გავრცელების არეალი მეტად შემცირებულია. იმ ადგილებში კი, სადაც ჯიქი ცნობილი იყო, მისი არსებობა დღეისათვის საეჭვოდ არის მიჩნეული. დ. ჩხიკვიშვილის მონაცემებით, — აღნიშნა პროფესორმა, — ჯიქი მოკლულ იქნა 1898 წელს ბზიფის ხეობაში. მას შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში არავითარი ცნობა არ არსებობს ამ ცხოველის თაობაზე. მხოლოდ 1950 წელს ზნაურის რაიონში სოფელ ჯინთიადთან ოსმა ალპინისტებმა ქვით ჩაქოლეს ხვადი ჯიქი. ამ მხეცის ერთი კიდევ უფრო დიდი ზომის ეგზემპლარი მოკლულ იქნა 1954 წელს ზედაზენთან. იგი საგურამოს ნაკრძალსა და მის მახლობელ ტერიტორიაზე ანადგურებდა ირმებს. ბოლო ორი შემთხვევის შესახებ არსებობს აზრი, რომ მტაცებელი ჩვენში სომხეთის მთებიდან გადმოხვეწა. და, ბოლოს, 1970 წელს ფშაოში მოპოვებული ჯიქი ჯვაფიქრებინებს, რომ ერთეული ეგზემპლარების სახით იგი ჯერ კიდევ ინარჩუნებს ადრინდელ ადგილსამყოფელს. ეს ადგილი ალბათ ამ ადგილებში, კერძოდ აფხაზეთის, ლაგოდეხის, ფშავ-ხევსურეთის ულრან ტყეებში. და თუ ეს ასეა, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ჩვენი ფაუნის ყველა დროის ყველაზე მრავალფეროვანი ძუძუმწოვარი ტერმინი — „გადაშენებული“ აღარ მოუხდება.

ოსტეოლოგიური მასალის სათანადო დამუშავებით ფშავ-ხევსურეთში მოპოვებული ჯიქი ახალგაზრდა — 3-4 წლისაა. სიგრძით ორ მეტრს აღემატება.

ჯიქი კატისებრთა შორის ყველაზე ლამაზი ცხოველია, რომელსაც მტაცებლებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისება აქვს. იგი განსაცვიფრებლად მოქნილია, დიდი და ღონიერი სხეული აქვს, მეტად სწრაფი და ძლიერია მოძრაობაში, განსაკუთრებით ნახტომში, რომლის სიგრძე ზოგჯერ თხუთმეტ მეტრსაც აღწევს. ჯიქს უფრო დიდი ეშვები აქვს, ვიდრე ლომსა და ვეფხვს. ეშვებთან ერთად დიდი ზომის ბასრი ბრეყალები ქმნიან სასტიკ იარაღს, რომლითაც შეუძლია ნებისმიერი ცხოველისათვის საბარელი ჭრილობის მიყენება. ჯიქი აღნიშნულ ცხოველებზე უფრო გაბედულიც არის, შესანიშნავად გადის ხეზე, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია წყალში დიდ მანძილზე ცურვა.

კავკასიონის საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ჯიქს დიდი მეცნიერულ-ფაუნისტური მნიშვნელობა აქვს.

ა. გეგეჭკორი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

• • •

სურათზე: ხევსურეთში მოპოვებული ჯიქის კუდი, ქალა და ქვედა უბე.

ფოტო ავტორისა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერების და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი აცხადებს, რომ 1971 წლის პრემიების მოსაპოვებლად ნამუშევრების წარმოდგენის ვადა გაგრძელებულია მომდინარე წლის 1 დეკემბრამდე.

ნამუშევრები კომიტეტში უნდა წარმოადგენოთ შემდეგი მისამართით: ქალაქი თბილისი, რუსთაველის პრ., 8, მე-4 სართული, ოთახი 80, ტელეფონი 99-51-45, კომიტეტის სწავლულ მდივანს.

იქვე შეგიძლიათ მიიღოთ ცნობები პრემიების მოსაპოვებლად ნამუშევართა წარმოდგენის წესზე.

სასამართლოს დარბაზიდან

ღირსეული სასჯელი

კურორტ შოვში შემზარავი ხმა გავრცელდა: ვიღაც ბოროტმოქმედმა ი. სირბილაძე რკინის თავში დარტყმით მოკლაო.

დამნაშავე იშხან ბეგლარის-ძე კარაპეტიანი დაპატიმრებულ იქნა. მკვლელს გულშემატკივრები და დამცველები გამოუჩნდნენ. ბოროტმოქმედის საქმე ქალაქ ტყიბულის სახალხო სასამართლომ გაარჩია და ი. კარაპეტიანს რატომღაც მოწყალების ხელი გაუწოდა, ჯერ ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯა, მერე პატიმრობაში გატარებული დრო აკმარა, სასჯელის შემდგომი მოხდისაგან პირდაპირ სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ტყიბულის სახალხო სასამართლოს არასწორი განაჩენი გაუქმა და აღნიშნული საქმე განსახილველად ქუთაისის სახალხო სასამართლოს გადასცა.

ამას წინათ ქალაქ ქუთაისის სახალხო სასამართლომ ბ. ცხელაშვილის თავმჯდომარეობით გამსვლელ სესიაზე ქალაქ ონში ბოროტმოქმედ ი. ბ. კარაპეტიანს ათი წლით პატიმრობა მიუსაჯა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

ა. ბოცირიძე.

ჩემპიონები კრივში

თბილისის სპორტის სასახლეში სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს 1970 წლის პირველობა კრივში. მონაწილეობდა თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის, სოხუმის, ფოთისა და სხვა ქალაქების 64 უძლიერესი მოკრივე.

წონით კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ — მ. მიქოიანი, ო. ტატვინიძე, მ. არუთინოვი, გ. ვარდანიანი (ყველა თბილისიდან), გ. ცხადაია, თ. შალიკიანი, მ. სვანიძე (სამივე ქუთაისიდან), ი. მისტაკოპულო (სოხუმი), ნ. ბარაბაჯი (რუსთავი), დ. დანილეკო, ვ. მილიუშკო (ორივე თბილისიდან).

შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მ. მიქოიანმა და გ. ცხადაიამ. მათ გადაეცათ ფედერაციის პრიზები.

ე. ძელბაქიანი.

ორი ლიდერი

საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელისწინა ტურში სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლისნო კლუბის წყალბურთელთა გუნდმა ძმაფრ ბრძოლაში დაამარცხა ჩვენი ქვეყნის რვაგზის ჩემპიონი მოსკოვის „დინამო“ 6:5. ახლა დინამოელებსა და მეზღვაურებს 30-30 ქულა აქვთ და ოქროს მედლების პრეტენდენტები არიან. თუ ლიდერებმა უკანასკნელი შეხვედრები მოიგეს, ჩემპიონის გამოსავლინებლად მათ შორის მოეწყობა დამატებითი მატჩი.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი) 4:4, „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (ალმა-ატა) 7:5, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო) — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი 5:5, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვის ოლქი) 8:1.

მატჩები და შედეგები

გუშინ შედგა ხაკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები ფეხბურთში „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის.

ძუთაისში თამაშობდნენ ტაშკენტის „პახტაკორისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდები. გიმარჯვეს ტაშკენტელებმა ანგარიშით 4:1.

აუტსაიდერობა ჯგუფის წარმომადგენელი — ოდესის „ჩერნომორეცი“ მასპინძლობდა საპრიზო ადგილების ერთ-ერთ პრეტენდენტს მოსკოვის „სპარტაკს“. აქ მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა. გიმარჯვეს ოდესელებმა.

ყურადღების ცენტრში იდგა მატჩი ერევანში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „არარატი“ და ბაქოს „ნეფტჩი“. წარმატება ერევანელებს ხვდათ — 3:0.

ორჯონიკიძეში თამაშობდნენ დონეცკის „შახტიორისა“ და ორჯონიკიძის „სპარტაკის“ გუნდები. შეხვედრა სპარტაკელებმა მოიგეს — 1:0.

მოსკოვსა და ლენინგრადში

დღეს უმაღლესი ჯგუფის გუნდებს საკავშირო პირველობის კიდევ ორი შეხვედრა ექნებათ ფეხბურთში.

ერთ-ერთი მათგანი შედგება მოსკოვში, სადაც ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტი — დედაქალაქის „დინამო“ საკუთარ მოედანზე ითამაშებს დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდის წინააღმდეგ.

მეორე მატჩი გაიმართება ლენინგრადში. აქ ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „ზენიტისა“ და მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივები.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 31 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მ.)	30	17	7	6	45-20	41
ცსკა	29	17	5	7	42-17	39
„სპარტაკი“ (მ.)	31	12	14	5	43-24	38
„ზარია“ (ვ.)	31	10	14	7	27-24	34
„დინამო“ (კ.)	31	14	5	12	34-29	33
„დინამო“ (თბ.)	29	12	8	9	40-28	32
„ტორპედო“ (მ.)	30	11	10	9	31-32	32
სკა (როსტ.)	30	8	15	7	26-26	31
„დინამო“ (მნ.)	30	10	10	10	31-26	30
„არარატი“ (ერ.)	30	10	8	12	29-31	28
„შახტიორი“ (დ.)	31	10	8	13	31-48	28
„პახტაკ.“ (ტ.)	31	8	12	11	27-44	28
„ნეფტჩი“ (ბ.)	30	8	11	11	23-25	27
„ზენიტი“ (ლ.)	30	9	7	14	28-39	25
„ჩერნომორ.“ (ო.)	31	8	9	14	24-37	25
„ტორპედო“ (ქ.)	31	6	11	14	23-38	23
„სპარტაკი“ (ორჯ.)	31	7	8	16	30-46	22

ეკონომიკური პროპაგანდა

ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲦᲝᲗ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ V ᲡᲐᲠᲬᲣᲚᲘᲐᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ

შევინარჩუნოთ ტრადიციები



სასტენდო სროლას საქართველოში შესანიშნავი ტრადიცია აქვს — ჩვენი რესპუბლიკის მესტენდურები თითქმის ყოველთვის იყვნენ სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში და არაერთხელ დაუცავთ საბჭოთა სპორტის ღირსება საერთაშორისო ტურნირებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში. მუდამ საპრიზო ადგილებს იკავებდნენ ისანი საკავშირო ასპარეზობებზე, საბჭოთა კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაზე კი ოქროს ოთხი და ვერცხლის ერთი მედალი მოიპოვეს. მარშან ახალგაზრდების საკავშირო ტურნირში თბილისელებმა ტ. ძღენტმა და თ. მატოიანმა ყველას აჯობეს, წლეულს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა კ. დარასელია...

მაგრამ, სამწუხაროდ, საერთო გუნდურ ჩათვლაში რესპუბლიკის ნაკრებს მუდამ რაღაც ამუხრუჭებს. მაგალითად, ხალხთა წინა სპარტაკიადაზე მრგვალ სტენდზე მსროლელებმა ცუდად იასპარეზეს — ერთ-ერთი ბოლო ადგილი დაიკავეს და ადგილიდან მსროლელთა გამარჯვების მიუხედავად საერთო ჩათვლაში VI ადგილი ხვდათ.

რა მდგომარეობაა ახლა? როგორ ემზადებიან საქართველოს მესტენდურები სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისათვის? ამაზე გვესაუბრება საქართველოს ნაკრების წევრი და მწვრთნელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ზ. მაჩხანელი.

— ცოდეა გამზელილი სკობს: სადღეისოდ ჩვენი მესტენდურები ბაზების სიმცირეს ყველაზე მეტად განიცდიან. ერთადერთი მოხერხებული სასროლეთი ვარკეთილში გვაქვს. იგი ამ სამოდე წლის წინათ სამხედრო-მონადირეთა ამხანაგობამ აიგო. მოხერხებული იმ გაგებით, რომ საკმაო რაოდენობით აქვთ მოედნები და ახალი დანადგარები, თორემ კეთილმოწყობას ვერც იგი დაიკვეხნის, რადგან რეგულარულად სასმელი წყალიც კი არ არის, აღარას ვამბობთ საჩრდილობლებზე, რომლებიც ცეცხლის ხაზიდან თავისუფალი სპორტსმენისათვის ესოდენ აუცილებელია. სოხუმის, ქუთაისის, ბათუმის სტენდები მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, წალენჯიხისა და ზუგდიდში მხოლოდ თითო მოედანია. რამდენიმე წლის წინათ თბილისსა და მახარაძეში მონაკვეთის უყურადღებობის გამო შესანიშნავი სტენდები დაანგრიეს, მახარაძეში იქაურ სპორტის მოყვარულთა ინიციატივითა და რაიონის ხელმძღვანელთა მხარდაჭერით ახალი სასროლეთის მშენებლობა დაიწყეს და იგი შარშანწინ უნდა დაემთავრებინათ, მაგრამ ამ საქმემ მონაკვეთის რესპუბლიკური კომიტეტის სათანადო მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და იგი მეტისმეტად ნელა მიდის წინ. მახარაძეში კი მუდამ უმაღლესი კლასის სპორტსმენები იზრდებოდნენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ თავის დროზე დასახეს ჩვენში სასტენდო სპორტის განვითარების ღონისძიებანი — მთელ რიგ ორგანიზაციებს, რაიონების ხელმძღვანელებს დაევალათ სასროლეთების აგება, მაგრამ...

პირდაპირ გვაოცებს მონაკვეთის რესპუბლიკური კომიტეტის ამ სახეობისადმი დამოკიდებულება — თუ ადრე ერთადერთი ეს ორგანიზაცია გახლდათ კარგის მოთავე, ბოლო წლებში ორგანიზაციის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

საქმეა ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობის ინიციატივა, რომელმაც „ლოკომოტივის“ მესტენდურებისთვის საერთაშორისო კლასის სასროლეთის აგება გადაწყვიტა, მაგრამ ჯერ ტერიტორიის გამოყოფა გაჭიანურდა, შემდეგ კი პროექტის მომზადება.

ახლა თოფებსა და ტყვია-წამალზე. ამ მხრივ საქმე ძირითადად მოგვარებულია, რის შესახებ რესპუბლიკური სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზეც ითქვა, ოღონდ ეგ არის, რომ ოთხი წლის წინ მიღებული თოფები მოძველდა. მომავალ სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის სულ ცოტა 12 ახალი თოფი მაინც გვჭირდება. ვერ მოგვარდა რესპუბლიკაში ვაზნებისა და სამიზნეების დამზადებაც.

გაინტერესებთ, მომავალ სპარტაკიადაში რა პერსპექტივა გველოდება? მრგვალ სტენდზე რვა საუკეთესო სპორტსმენთა რიცხვში შესვლა შეუძლიათ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტს ტ. ძღენტსა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს თ. მატოიანს, აგრეთვე თამაზ ომნაიშვილს, ოღონდ მას უფრო მეტი მეცადინეობა მართებს. ეს სამი სპორტსმენია, ვისი იმედიც შეიძლება ვიქონიოთ. ადგილიდან სროლაში ძველ გვარდიას — კ. დარასელიას, ვ. ალავერდოვსა და სხვებს მხოლოდ ორი ახალგაზრდა — თენგიზ ომნაიშვილი და ა. ბუკია უწევენ კონკურენციას. ასე რომ, თუ სპორტსმენებს სათანადო პირობები ექნებათ და ისინიც საქმეს გულისხმიერად მოეკიდებიან, რესპუბლიკის ქულების ყულაბაში მათ კარგი წვლილი უნდა შეიტანონ.

სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებში პერიფერიებიდან მხოლოდ სოხუმელი კ. დარასელია შედის, რაც ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს, რომ ბაზების უქონლობის გამო ვარჯიშები არ ტარდება და, ცხადია, აფხაზეთში, აჭარაში, ქუთაისში, მახარაძეში, ზუგდიდში, წალენჯიხაში ნიჭიერ მესტენდურებს ვერ ვაკლენთ. ამ ნაკლში სათანადო „დამსახურება“ სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებსაც მიუძღვით, სასტენდო სროლის განვითარებისათვის მხოლოდ „ლოკომოტივისა“ და არმიელ მონადირეთა ამხანაგობა ზრუნავს.

ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს სპორტული ღირსება, ყველამ საერთო ძალით უნდა ვიბრძოლოთ სასტენდო სროლის განვითარებისათვის, არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში ჩვენი მთავარი მეტოქენი იქნებიან მოსკოვის, რსფსრ-ის, ლენინგრადის, უკრაინის, ესტონეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის მსროლელები. რა თქმა უნდა, არც სხვა რესპუბლიკების სპორტსმენები არიან გულხელდაკრეფილი, ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საქართველოს მესტენდურები გაისად ყველა ადრინდელ ტურნირებზე უკეთესად გამოვიდნენ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

11.00 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 12.30 — „საბჭოთა საქართველო-50“ — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“. ვანსის რაიონი (განმეორებით), 13.30 — ეთერშია ახალგაზრდობა (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „კინოობიექტივი“ (განმეორებით), 16.30 — „მეცნიერული კომუნიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად“, 16.45 — კინოპროგრამა, 17.25 — ახალი ამბები, 17.30 — „ამერიკა არჩევნების წინ“ — საუბარი საერთაშორისო თემაზე (გადმოცემა მოსკოვიდან) — სტუდიაში საკავშირო ტელევიზიისა და რადიოს კომენტატორი ა. დრუჟინინი, 18.00 — გადაცემა „ქნილის ხეობაში“, 18.10 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.30 — მოსწავლეთათვის ციკლიდან „მუსიკალური ვიქტორინა“, 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო“ მოსკოვი — სკა როსტოვი. მეორე ტაიმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.10 — „ირმის ნახტომი“ სატელევიზიო ჟურნალი, 21.00 — მხატვრული ფილმი „გოგონები“, 22.35 — „მუსიკალური ფოტო“ — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით.

1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

10.15 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ბავშვებისათვის „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — კინონარკვევი, 11.15 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ბიჭუნები“, 12.45 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა „ცხოველთა სამყაროში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — კინონარკვევი, 14.35 — „საბჭოთა საქართველო-50“ — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“. სიღნაღის რაიონი (განმეორებით), 15.10 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „ცსკა-„დინამო“ თბილისი (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45 — „ჯანმრთელობა“ სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა, 18.35 — ციკლიდან „ქართული კინოს ოსტატები“ — ივანე პერესტიანი, 19.05 — კინონარკვევი, 19.15 — „საბჭოთა საქართველო-50“ — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“. ხობის რაიონი. 20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — მოგვითხრობს ირაკლი ანდრონიკოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — საესტრადო გასართობი პროგრამა, 22.15 მხატვრული ფილმი „ადამიანი, რომელიც მიყვარს“.

ᲗᲘᲐᲢᲠᲔᲑᲘ

31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ფიქრა; რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — სამანიშვილის დედინაცვალი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ალუდა ქეთელაური, სტუმარ-მასპინძელი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ბაბაჯანას ქოშები.

ᲙᲘᲜᲝ

31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ოქტომბერი — ჩაიკოვსკი (I, II სერია); ამირანი, საქართველო (მწვანე დარბაზი), გაზაფხული, სპარტაკი, კოლხიდა, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ბლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, თბილისი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — დიდოსტატის მარჯვენა (I, II სერია); ისანი, ვარძია, გორკის სახელობის კულტურის სახლი — შიშზე ძლიერნი; საქართველო (წითელი დარბაზი), თანამგზავრი, ეკრანი — თავგადასავალი გარეუბნის სახლში; ბათუმი — ყვავილი და ქვა (I, II სერია); სიხარული — საიბა (I, II სერია); 26 კომისრის სახელობის (წითელი დარბაზი) — ანუკაბა (I, II სერია); 26 კომისრის სახელობის (მწვანე დარბაზი) — სად არის 042 და წერილები შინ; ნაკადული — გრაფინია კოსელი; ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — ბინა; კოლმეურნე — ხიუვარულის სეზონი.

რა ვნახოთ, რა ეოვისეინოთ

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-03-09, პ/ბ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-